წერილის ნომერი: **17-01243104127**
თარიღი: **05/11/2024**

ადრესატი: ლალი ბეჟანიშვილი
პირადი ნომერი: 01032003742
მისამართი: ორხევი,მერაბ კოსტავას N 22

ქალბატონო ლალი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში შემოსული №19/0124150776-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის 10 ნოემბერს მიღებულ იქნა №003975 დადგენილება, რომლითაც სამართალდამრღვევი დაჯარიმდა 8 000 ლარით და N01.19.16.002.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ლიტ. ”დ” შენობის მესაკუთრეს დაევალა ქ. თბილისში, ორხევის დასახლება, მერაბ კოსტავას ქუჩა №22, №01.19.16.002.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ლიტ. ”დ” შენობაზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, ნაწილობრივ კაპიტალური და ნაწილობრივ მსუბუქი კონსტრუქციის მიშენების დემონტაჟი.

ზემოაღნიშნული დადგენილება თქვენ მიერ (როგორც გელა ბეჟანიშვილის წარმომადგენლის) გასაჩივრებულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, რომლის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2024 წლის 18 ივლისის №958 ბრძანებით განუხილველად იქნა დატოვებული ადმინისტრაციული საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №003975 დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 128-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, მიექცა აღსასულებლად და 2024 წლის 22 ივლისს გაიცა №4-5/ს.ფ.-847-24 სააღსრულებო ფურცელი მოქ. გელა ბეჟანიშვილის მიმართ, ვინაიდან №.01.19.16.002.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ლიტ. ”დ” შენობის მესაკუთრეს წარმოადგენს - გელა ბეჟანიშვილი და სწორედ მას ევალება 2023 წლის 10 ნოემბერის №003975 დადგენილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა.

დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრისთვის უნებართვო სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟის დავალება გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან, ვინაიდან აღნიშნულ უძრავ ნივთზე არსებობს მესაკუთრის ფაქტობრივი ბატონობა, რაც თავის თავში გულისხმობს, რომ მისი ნების გამოვლენის გარეშე, მხოლოდ უნებართვო სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი პირი ვერ მოახდენს ზემოთხსენებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟს. შესაბამისად, სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, 2023 წლის 10 ნოემბერის №003975 დადგენილებით, მიწის ნაკვეთის მესაკუთეს დაევალა ნაწილობრივ კაპიტალური და ნაწილობრივ მსუბუქი კონსტრუქციის მიშენების დემონტაჟი.

პატივისცემით,

მამუკა ჯაყელი

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი